ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ32.32220761**

თარიღი:**17/03/2022**

წარმომადგენლობითი ხარჯებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიი ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის 2022 წლის 15 მარტის №01-3222074280 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განხორციელდეს, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ოფიციალური ვიზიტით მყოფი სტუმრების გამასპინძლების მიზნით, შესყიდვასთან დაკავშრებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წესის შესაბამისად.

3. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE